ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №39/
გამარტივებული შესყიდვა

22800000 - ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები

ქ. თერჯოლა 16 ივნისი 2016 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ა(ა)იპ. „თერჯოლის სკოლამდელ აღზრდის მუნიციპალური ცენტრი", წარმოდგენილი დირექტორის მაია თორთლაძის სახით (შემდეგში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „მერანი", წარმოდგენილი დირექტორის ელგუჯა ლაბაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის მიღწეულ იქნ ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

სკოლამდელი საადმზრდელო დაწესებულების „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს და ცენტრის ფილიალის საბავშვო ბაგა-ბაღების ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვ ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთების შეძენის მიზნით გამოიყენა ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდი, რისთვისაც შერჩეულ იქნა შპს „მერანი".

2. ხელშეკრულების ფასი

ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა 1000 (ერთი ათასი) ლარი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობა:

3.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საჭირო საკანცელარიო ნივთებ მოთხოვნის შესაბამისად.

3.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხზე და ვარგისიანობაზე.

3.3. „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას „მიმწოდებელს" აუნაზღაუროს მომსახურეობის ღირებულება „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

4.1. მხარეებს შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტონ ხელშეკრულება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, აღნიშნულის შესახებ წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის ვადაში.

4.2. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ - ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად. თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6.2. ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 16 მაისიდან 2017 წლის 31 იანვრამდე.

„შემსყიდველი“

თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი

მისამართი: თერჯოლა, შოთაძის ქ. №6

საიდენტიფიკაციო კოდი: 231948863

ხაზინის ერთიანი ანგარიში: 204931440

ანგ. №GE24NB0330100200165022

სახ. ხაზინა: TRESGE22

დირექტორი მაია თორთლაძე

„მიმწოდებელი“

შპს „მერანი“

მისამართი: ქ. ქუთაისი ცისფერყანწელების №6

საიდენტიფიკაციო კოდი: 212690872

ანგ. №: GE27BG0000000297946300

ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“

ბან[illegible] BAGAGE22

დირექტორი [illegible] დაბაძე